

ინფორმატიზაციის თანამედროვე ტენდენციების ანალიზის და პრობლემების შესახებ საქართველოში

მზია კიკნაძე, ლევან ჯიქიძე, მანანა მალრაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ინფორმატიზაციის პოლიტიკის არსი, საკითხები მახასიათებლების და პრობლემების ანალიზის შესახებ. ჩამოყალიბებულია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც ეხება ინფორმატიზაციის პოლიტიკის თანამედროვე ხედვას. რეკომენდაციები კომპლექსურია და ავტორთა აზრით ისინი შეიძლება ინფორმატიზაციის სფეროში მომუშავე სპეციალისტებმა გამოიყენონ.

საკვანძო სიტყვები: ინფორმატიზაცია. მონაცემთა დაცვა. საზოგადოების ინფორმატიზაციის მახასიათებლების ანალიზი.

1. შესავალი

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლით, რასაც შეიძლება მოჰყვეს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი მიმართულების ინფორმატიზაცია. ინფორმატიზაცია საყოველთაო, ისტორიული პროცესის ობიექტური ეტაპია და ნიშნავს, რომ საზოგადოება საწარმოო ძალების განვითარების ხარისხობრივად ახალ მიჯნაზე გადადის. ეს ყოველივე კი საზოგადოების პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმია. [1]

მსოფლიო საინფორმაციო საზოგადოების ფორმირება თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების გლობალურ ფაქტორად იქცა. მსოფლიო თანამეგობრობის სუბიექტების ურთიერთკავშირების გაძლიერების ფონზე მიმდინარეობს უწყვეტი ბრძოლა ეკონომიკური ინტერესებისა და სხვადასხვა რესურსებისთვის. გარდა ამისა, ბრძოლის მიზანია სამხედრო უპირატესობის მოპოვება და პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ კულტურული გავლენების გაძლიერება. აღნიშნული ბრძოლა მწვავედა და მიზნების მისაღწევად გამოიყენება საინფორმაციო უპირატესობები. საინფორმაციო-ტექნოლოგიური თვალსაზრისით მოწინავე ქვეყნების სამხედრო პოტენციალი მკვეთრად იზრდება, რაც იწვევს გლობალური და რეგიონალური ძალთა ბალანსის ცვლილებას. [2]

საინფორმაციო განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია რეგიონებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების შეცვლა. დღესდღეობით და უახლოეს მომავალში საქართველოს რთულ პრობლემებთან მოუწევს გამკლავება, რაც დაკავშირებულია ეროვნული ინტერესების დაცვასთან.

საქართველო განვითარების რთულ ეტაპზე იმყოფება. ეს ყოველივე განპირობებულია როგორც საერთაშორისო ურთიერთობების არაერთგვაროვნებითა და წინააღმდეგობრივობით, ასევე მცდელობებით, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმართოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი და შეიქმნას სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გლობალური საინფორმაციო სტრუქტურა, რომელიც დაეფუძნება ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, პრობლემებსი წყაროა საზოგადოების სისტემური კრიზისი და როგორც ეკონომიკაში, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში მიმდინარე ნეგატიური პროცესები.

საქართველოს საინფორმაციო განვითარების აქტუალური პრობლემები ითხოვს ინფორმატიზაციის კომპლექსური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც გააერთიანებს როგორც პოლიტიკურ, ასევე ტექნოლოგიურ და ჰუმანიტარულ-სამართლებრივ ფაქტორებს. ინფორმატიზაციის პოლიტიკის მიზანია საზოგადოების საინფორმაციო წრეების ფორმირება და განვითარება. აღნიშნული წრეები შეძლებენ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლას, რომელიც

დაეფუძნება ახალ ტექნოლოგიებს. ასე შესაძლებელი გახდება იდეალების რეალიზება და სამოქალაქო საზოგადოებისა თუ სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებების დამკვიდრება. როგორც გასულ ათწლეულებში საინფორმაციო პროცესების განვითარების გამოცდილება აჩვენებს, საინფორმაციო საზოგადოება საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემის შემქმნელი ფაქტორია, რომელსაც ეფუძნება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი საქმიანობა.[4]

განვითარების თანამედროვე ეტაპზე კარგი იქნება გავიაზროთ, როგორია საქართველოს გზა საინფორმაციო საზოგადოებისკენ. ეს გზა ხანგრძლივი და ეტაპობრივი პროცესია. დღესდღეობით საქართველო ითვლება განვითარებად ქვეყნად. ეს ჩამორჩენა გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ ეკონომიკას ახასიათებს მოძველებული ტექნოლოგიები, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და ეროვნული კომპიუტერული ქსელების არარსებობა. საზოგადოებაში დაბალი საინფორმაციო მოთხოვნილება (განსაკუთრებით რეგიონებში), რაც განპირობებულია ეკონომიკური კრიზისით და შესაბამისად, ცხოვრების დაბალი ხარისხით. ეს ყოველივე ხელს უშლის ქვეყნის გადასვლას საინფორმაციო საზოგადოების ეტაპზე. ამ პრობლემების მოსაგვარებლად საქართველომ აუცილებელია მონახოს დაბრკოლებების გადალახვის გზები.

დაბრკოლებების გადალახვის მიზნით აუცილებელია სისტემური კრიზისიდან გამოსვლის სტრატეგიის შემუშავება. სტრატეგიის საფუძველი უნდა იყოს ეკონომიკური, ტექნოლოგიური, საინფორმაციო და კულტურული პოლიტიკის გაერთიანება, რომელიც გათვლილი იქნება სულ მცირე ერთ თაობაზე. ამავდროულად, სწორი არ იქნება გარემომცველი სამყაროსგან იზოლირება ან მასთან კონფრონტაცია. ეს ყოველივე გამოიწვევდა მოწინავე ქვეყნებთან ჩამორჩენას, ვინაიდან საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების სისტემის ყველა წამყვან ძალასთან აქვს უშუალო ურთიერთობა.

ეროვნული სამეცნიერო და პოლიტიკური საზოგადოება თანდათანობით იაზრებს საინფორმაციო საზოგადოებაში საქართველოს ინტეგრაციის მნიშვნელობას,

აღნიშნულიდან გამომდინარე ინფორმატიზაციის პოლიტიკის და მის მახასიათებლების ანალიზი საზოგადოების ცხოვრებაში მეტად აქტუალურია. მისი აქტუალურობა განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

1) თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ინფორმაციის ფუნქცია მკვეთრად შეიცვალა და გაიზარდა. ინფორმატიზაციას მზარდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სრულყოფის საქმეში და მისი გავლენა იზრდება ადამიანის, სახელმწიფოების თუ მსოფლიო ცივილიზაციის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ მეცნიერული თუ ტექნოლოგიური მიღწევები სამხედრო მრეწველობასა და სამხედრო მშენებლობაში ეფექტურად ინერგება ცხოვრების ნებისმიერი სფეროს ინფორმატიზაციის წყალობით.

2) არ ხდება მრეწველობაში ინფორმატიზაციის პოლიტიკის როლის სრულყოფილი ანალიზი, აღნიშნული სფერო არ განიხილება ქვეყნების საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად.

3) საინფორმაციო ბრძოლა მძაფრდება (ამის მაგალითია რუსეთ-საქართველოს ომის დროინდელი სიტუაცია, თითქმის ყველა ქართული ინტერნეტდომენი ძიებადი აღარ იყო. რამდენიმე სამინისტროს, საქართველოს ბანკის და პარლამენტის ვებგვერდი ჰაკერების მსხვერპლი გახდა.) და სულ უფრო ბუნდოვანია ომისა და მშვიდობის მიჯნა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საინფორმაციო ტექნიკის და „ცივი ომის“ ტექნოლოგიების განვითარება ახალ სიმაღლეზე ადის და ხდება სულ უფრო მასშტაბური და პოლიტიკურად მომგებიანი. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სწორედ ასეთი ბრძოლები მიმდინარეობს „ცხელი“ ომების ნაცვლად, რის შედეგადაც მრავალი

ძლიერი ქვეყანა ერთი გასროლის გარეშე ნადგურდება და რადიკალურად იცვლება მსოფლიო პოლიტიკური რუკა.

4) პოლიტიკური მოწინააღმდეგეების და სავარაუდო მოწინააღმდეგეების შეიარაღებული დაპირისპირების ხასიათი იცვლება. ტრადიციული გაგებით მშვიდობიან დროში მოწინააღმდეგეები მუდმივ საინფორმაციო ბრძოლას აწარმოებენ, არ წყდება რადიოელექტრონული დაზვერვა და ხშირად ხდება ინფორმაციული ქმედებების ურთიერთგაცვლა. აღნიშნული ქმედებები საფრთხეს უქმნის მთელს სამყაროს, ვინაიდან მათი ეფექტურობის ხარისხი სწრაფად იზრდება და ქმედების წყაროს გამოვლენა უადრესად რთულია. უამრავი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საინფორმაციო ბრძოლის საფრთხეებს სათანადოდ არ აფასებს და შედეგად განიცდის პოლიტიკურ მარცხს შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე.

5) საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მიმართულება იცვლება და აუცილებელი ხდება ინფორმაციის დაცვის სისტემის მუდმივი სრულყოფა.

საინფორმაციო უსაფრთხოების გადაუჭრელი პრობლემები და საზოგადოების ღიაობა ქმნის საინფორმაციო რესურსებისადმი არასანქცირებული წვდომის წინაპირობას და იგივე ეხება სამხედრო უსაფრთხოების სფეროს. საქართველოსთვის მთავარი ამოცანა არის ინფორმაციული უსაფრთხოების ისეთი ხარისხით უზრუნველყოფა, რათა გარანტირებული იყოს არა მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიული და თავდაცვითი უსაფრთხოება, არამედ შენარჩუნდეს და განმტკიცდეს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა. გარდა ამისა, მიზანი არის საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა და მოქალაქეების უფლებებისა თუ თავისუფლებების დაცვა საინფორმაციო სივრცეში. ასეთ უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობა გლობალურ საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ქსელებში.

6) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადება, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვეობისთვის შესაფერისი საინფორმაციო კულტურა.

მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში კვლევები უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი ამოცანების დაყენების და გადაწყვეტვის:

1. ინფორმატიზაციის პოლიტიკის მიზეზების, არსის, სტრუქტურის, ფუნქციის და ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა და დაზუსტება;

2. ინფორმატიზაციის პოლიტიკის პროგნოზირების და რეალიზაციის პროცესში გადამწყვეტი გავლენების მქონე და აუცილებლად აღსარიცხი ფაქტორების გამოვლენა; საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესების გავლენის მქონე მექანიზმების გამოვლენა;

3. აქტუალური პრობლემების გაანალიზება და ინფორმატიზაციის პოლიტიკის სპეციფიკის გამოვლენა;

4. საქართველოს ინფორმატიზაციის პოლიტიკის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების და პრიორიტეტების ჩამოყალიბება და გამოვლენა;

კვლევის პროცესში მიღებული მონაცემების სისტემატიზებული ანალიზის და სინთეზის საფუძველზე მართვის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო ორგანოებისთვის წინადადებების მიწოდება, რათა საქართველოს სამხედრო სფეროში ინფორმატიზაციის პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმის ოპტიმიზაცია მოხდეს.

საქართველოს სამხედრო სფეროში ინფორმატიზაციის პოლიტიკის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი არის ეროვნული და უცხოელი სპეციალისტების ფუნდამენტალური ნაშრომები; თეორიული მოსაზრებები, რომლებიც ეფუძნება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს და მისი ცალკეული კომპონენტების ინფორმატიზაციის თანამედროვე პროცესს; „საქართველოს ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ ძირითად

დებულებებს და პრინციპებს; სხვადასხვა პოლიტოლოგიური სკოლების წარმომადგენლების თეორიულ დასკვნებს; სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და პერიოდული გამომცემლობების ანალიტიკურ მასალებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის პოლიტიკის, როგორც საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განუყოფელი კომპონენტების, პრობლემების გააზრებისთვის.

აღნიშნულ პრობლემაზე არსებული მოსაზრებების, ფაქტების და წინადადებების მნიშვნელოვანი წყაროა საინფორმაციო და გამოთვლითი ტექნიკის უცხოური თუ მშობლიური ლიტერატურიდან მიღებული მასალები.

ლიტერატურა:

1. Андрианов В.В. Технология защиты в принципах организации информационных систем. // Защита информации. «Конфидент». - 2002. - №3.
2. Завадский И.И. «Информационная война - что это такое?» // Защита информации. «Конфидент». -1996.
3. Абдеев Р.Ф. Философия информационной цивилизации. - М.: ВЛАДОС, 2004
4. Арапов М.В. Информационная сфера и информатизация общества. - Новосибирск:Наука, 2010.
4. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 23.12.2011 http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12

ON THE ANALYSIS AND PROBLEM OF MODERN TENDENCIES OF INFORMATIZATION IN GEORGIA

Kiknadze Mzia, Jikidze Levan, Magradze Manana
Georgian Technical University

Summary

In the represented article there are considered main ideas of informatization politics, its characteristics and problems. There are given practical recommendations which refers to the modern view of informatization politics. Recommendations are complex and they can be used by specialists working in sphere of informatization.

ОБ АНАЛИЗЕ И ПРОБЛЕМАХ СОВРЕМЕННЫХ ТЕНДЕНЦИЙ ИНФОРМАТИЗАЦИИ В ГРУЗИИ

Кикнадзе М., Джикидзе Л., Маградзе М.
Грузинский Технический Университет

Резюме

Освещена сущность политики информатизации и представлены вопросы анализа показателей и проблем. Разработаны практические рекомендации, в которых отражены современные представления о политике информатизации. Эти рекомендации комплексные и могут быть полезными для специалистов, работающих в сфере информатизации.